

არაგონიტის რადიალურ-სხივოსნური კრისტალები ახალქალაქის პლატოს
ჰიდროთერმულად შეცვლილ დოლერიტებში

მარიამ ახალკაციშვილი
mariam.akhalkatsishvili@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის ქ.13, 0186, თბილისი, საქართველო

არაგონიტის მინერალიზაცია პირველად გამოვლენილ იქნა ახალქალაქის პლატოს გვიანპლიოცენურ-ადრეპლეისტოცენური ასაკის დოლერიტებში, სოფ. თოკის ჭრილის - ლავური ნაკადების ვეზიკულიარულ ზონაში (სიმძლავრე 1-2.5მ). მაკროსკოპულად დოლერიტები შავი ფერის სფერული განწვევების მკვრივი წვრილმარცვლოვანი ქანია, რომლებშიც შეუიარაღებელი თვალით ქანმაშენი მინერალების პორფირული გამონაყოფები ძნელად დაიკვირვება; ქანში არსებული განსხვავებული ფორმისა და ზომის ვეზიკულები მონომინერალურია და მთლიანად არაგონიტის რადიალურ-სხივოსნური კრისტალებით არის ამოვსებული. არაგონიტის არსებობას განაპირობებს ხსნარის შედგენილობა და ასევე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დედაქანის შედგენილობასა და შეცვლის ხარისხზე.

არაგონიტის დიაგნოსტიკისათვის გამოყენებულ იქნა: მიკროსკოპიული, რენტგენული დიფრაქციის (X-ry), სილიკატური ანალიზის, თერმული ანალიზის, ინფრაწითელი სპექტრული ანალიზისა და რაოდენობრივი სპექტრალური ანალიზის ლაბორატორიული მეთოდები.

საველე და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ, პოსტვულკანური მინერალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა ჰიდროთერმული სტადიის დამამთავრებელ ეტაპზე, დედამიწის ზედაპირზე ან მასთან სიახლოეში საშუალო და დაბალ სიღრმეზე დაბალი წნევისა და დაბალი ტემპერატურის პირობებში. არაგონიტის კრისტალიზაციის ტემპერატურა შეფასებულია 120⁰ C.